

თა ვაჟაჰიძე

**„უცხო“ მნიშვნელობის ცვლისათვის  
რუსულ იმპერიულ სივრცეში**

სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ჩვეულებრივი მოვლენაა; იგი სხვადასხვა ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული. მნიშვნელობის ცვლის ერთ-ერთი გზაა მიზანმიმართული ენობრივი პოლიტიკა. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია საბჭოთა იმპერიის ველში მოქცეულ საქართველოში „უცხო“ სიტყვაფორმის სემანტიკის „კორექტირების“ ისტორიის წარმოჩენა.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში „უცხო“ განმარტებულია, როგორც სხვა ქვეყნისა" (ს.ს.ორბელიანი, 1966, გვ. 177). ნიკო და დავით ჩუბინაშვილებთან აღნიშნული სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა გამყარებულია დამატებითი ფრაზით: „შორით მოსული" (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 390; დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 1284). ანალოგიური მნიშვნელობა დასტურდება თანამედროვე ერთენოვან თუ ორენოვან ლექსიკონებშიც:

„ვისაც არ იცნობენ, - უცნობი, გარეშე" (ქეგლ, 1960, გვ. 1695);

„бѣиѣбѣиѣиѣ[-àÿ, -îâ], ÷რჟაჟაჟიჟიჟი, იიიბიბიბიბიბი..." (ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1990, გვ. 241);

„stranger - უცხო პირი, ... უცხოელი" (ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, 2003, გვ. 889);

„Foreign - უცხო, უცხოური, უცხოელი, უცხოელი, უცნობი, გარეშე" (ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, 2003, გვ. 358).

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის 200-წლიანი ისტორიის პერიოდში სიტყვა „უცხო“ ორგვარი მნიშვნელობით დასტურდება:

1. ისტორიული მნიშვნელობით - საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე;

2. ხელოვნურად დავიწროებული მნიშვნელობით - საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ცნობილია, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, „ადგილის ენების“ დევნა-შევიწროების პირობებში (რაც იმპერიული პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა), რუსულის ძლიერ გავლენას განიცდიდა ქართული სამეცნიერო ენა. ეროვნული სკოლებისა და უნივერსიტეტის არარსებობის გამო, „სპეციალური საგნების ტერმინოლოგია" ქართულ ენაზე „რიგიანად შემუშავებული" არ იყო, რასაც არაერთგზის შენიშნავდნენ მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვ. ლამბაშიძე, ს. ხუნდაძე, ვ. პეტრიაშვილი, თ. კიკვიძე, ლ. ცაგარელი, პ. მირიანაშვილი, ილ. ალნაზიშვილი და სხვ. (ი. ვაშაკიძე, 2009, გვ. 42-44, 113-118, 121-125). ამავე მიზეზით, ქართველი სწავლულები ზოგჯერ იძულებულნი იყვნენ, მხოლოდ რუსული ან რუსული დაწერილობით რომელიმე არაქართული ტერმინი გამოეყენებინათ და ერთგვარად მოებოდიშებინათ მკითხველისათვის, რომ ასე „გაგების გასაადვილებლად" იქცეოდნენ (ვ. პეტრიაშვილი, 1895, გვ. 3; ვ. კაკაბაძე, 1914, გვ. 414). მათი შენიშვნებიდან აშკარად ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში განათლებული ქართველისათვის რუსული განიხილებოდა უცხო ენად, ისევე

როგორც ნებისმიერი სხვა არაქართული ენა; მაგ., 1914 წლის ჟურნალ “განათლებაში” ვკითხვლობთ:

“განათლებულ ერად არ ჩაითვლება ის ხალხი, რომელსაც ბუნებისმეტყველება თავის დედაენაზე არ განუვითარებია... ბუნების მეცნიერება, მედიცინა, ფსიხოლოგია... ესე ყველა სრულებით უყურადღებოდ არის დატოვებული. აბა, გამორიცხეთ საშუალება ზემოთ დასახელებულ მეცნიერებათა რუსულ ენით (ხაზგასმა ჩვენია - ი.ვ.) შესწავლისა; ვსთქვათ არ ვიცით უცხო ენა, მაშინ ჩვენ, ქართველები, ვეგვანებოდით ნახევრად ველურ ხალხსა...” (“განათლება”, 1914, №5, გვ. 73).

ზემოთ მოყვანილი ამონარიდის მიხედვით, ტერმინოლოგიური შესიტყვება რუსული ენა სინონიმურ წყვილს ქმნის უცხო ენასთან. ბოლშევიკურ გადატრიალებამდე არის სხვა მრავალი შემთხვევა, როცა ქართული ენის გულშემატკივართათვის “ქართულის შემბლაღველ” უცხო გამოთქმებში მოიაზრება როგორც რუსული (უმეტესწილად)<sup>1</sup>, ისე გერმანული, ფრანგული და რომელიმე სხვა ენიდან შემოსული ბარბარიზმები (“ივერია”, 1903, №4, გვ. 2; ლ. ცაგარელი, 1914, გვ. 469).

დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდში (1918-1921) ვითარება ბევრად შეიცვალა: ერთი მხრივ, ქართული სამწიგნობრო ენა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი გახდა; მაგ., კ. გამსახურდიას სიტყვების თანახმად, XIX საუკუნეში “ქართული ენა სტიქიურად იზრდებოდა, ...არც მომვლელი ჰყავდა... და არც ყალიბის მიმცემი” (კ. გამსახურდია, 1983, გვ. 495). საქართველოს დამოუკიდებლობის ამ მცირე მონაკვეთში ქართულს, მართლაც, აღუდგა სახელმწიფო ენის სტატუსი, გაიხსნა ქართული უნოვერსიტეტი, ქართულენოვანი სკოლები; თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ (1918) მომრავლდა სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც, განვითარდა ეროვნული მეცნიერება და მწერლობა, დაიწყო ქართული სამწიგნობრო ენის სისტემური შესწავლა და ნორმირება... ეს პროცესი ინერციით გაგრძელდა საბჭოთა ეპოქის პირველ წლებშიც, თუმცა მალევე აღორძინდა იმპერიული კურსი:

20-იანი წლების ბოლოს საქართველოში საქმისწარმოების ენა ისევ ხდება რუსული (ეს კარგად ჩანს საარქივო მასალების დოკუმენტებიდან). საქართველოში ისევ უხვად შემოედინება რუსული ტერმინოლოგია და პრესტიჟული ხდება რუსული (ქართულის ფუნქციონირების ველის შეზღუდვის ხარჯზე). ამას ემატება სხვა ფაქტორიც:

დაიწყო ინტელიგენციის რეპრესიები, რომელთა მიზანი იყო ქართულად მოაზროვნე მოქალაქეების განადგურება ან დაშინება და “სხვა რელსებზე” გადაყვანა (მასალებისათვის იხ., ჟურნ. “საარქივო მოამბე”, 2010, № 8, 9, 10). პარალელურად დაიწყო შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის იუბილეების გადახდა მოსკოვში, რათა საბჭოთა მოქალაქეებისათვის “გაემშობლიურებინათ” რუსეთის იმპერიის დედაქალაქი. დაიწყო, ასევე, შრომის გმირებისა თუ რიგითი მოქალაქეებისათვის მნიშვნელოვანი თარიღების მილოცვა კრემლიდან; საინტერესოა ისიც, რომ ამ პერიოდში შექმნილ ფილმებში კავკასიელთა

<sup>1</sup> აღნიშნული პერიოდის პრესაში ხაზგასმითაა შენიშნული სალიტერატურო ქართულში რუსიციზმების რაოდენობრივი სიჭარბე, სხვა ენების გავლენასთან შედარებით (“კვალი”, 1893, №49, გვ. 6; “ივერია”, 1903, №4, გვ. 2; №13, გვ. 2...)

ურთიერთდაპირისპირების დროს “გამწველებელი“ თუ “შემრიგებელი“ კავკასიელების მეგობარი რუსი... (იხ., მაგ., ფილმები: “დღე პირველი - დღე უკანასკნელი“, “ფატიმა“ და სხვ.). მიზანი ერთი იყო: ქართული ენობრივ-ეთნიკური მეობის დაკნინების ხარჯზე საბჭოთა “იდენტობის“ ფორმირება.

ამგვარმა ანტიეროვნულმა ენობრივმა ასპექტებმა განაპირობა ტერმინ “უცხო“ არასწორი კვალიფიკაციის დამკვიდრება საბჭოთა მოქალაქის სამეცნიერო თუ ოფიციალურ-საქმიანი მოღვაწეობის სფეროში; მაგ.:

ა) ქართველი მოსწავლისა თუ სტუდენტისათვის ანკეტის კითხვა:

“რომელი უცხო ენა იცით?“

არასოდეს მოიაზრებდა რუსულს; თუკი “გაუთვითცნობიერებელ“ რესპოდენტს მაინც წამოსცდებოდა პასუხად: “რუსული“, მაშინვე შეაჩერებდნენ მოკლე, დაუსაბუთებელი “განმარტებით“: რუსული - არა, სხვა!“;

ბ) მაშინდელ უცხო ენათა ინსტიტუტში არ იყო სპეციალობა: რუსული ენა და ლიტერატურა. ეს უკანასკნელი, მაგ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების პარალელურად ფუნქციონირებდა, რაც თავისთავად ნიადაგს ქმნიდა საბჭოთა მოქალაქის ცნობიერებაში რუსულის უცხო ენებისაგან გამოცალკევებისა და ქართულთან “დაახლოებისათვის“. ასეთი მიდგომით, დაუკონკრეტებელი, თითქოს წყურუბული იყო განსხვავება ქართულსა და რუსულს, როგორც მშობლიურსა და უცხო ენებს შორის.

ზემოაღნიშნულ კურსთან არაპირდაპირი, მაგრამ მეთოდოლოგიურად თანმიმდევრული კავშირი ჰქონდა იმ ზოგად ტენდენციას, რომ რუსულენოვანი განათლების მიღება მეტად პერსპექტიულად ითვლებოდა სამსახურებრივი კარიერისათვის. აღნიშნული კურსის მძიმე შედეგები განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში; მაგალითად, ტელევიზიის საშუალებით ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს სამეგრელოსა და აფხაზეთის საშუალო სკოლებში ჩატარებული სპეციალური გამოკითხვის შედეგები, კერძოდ, აღნიშნული რეგიონის რუსული სკოლის ქართველი უფროსკლასელები ამჟობინებდნენ რუსულენოვანი საშუალო განათლების მიღებას, რომ მეტი გასაქანი მისცემოდათ დედაქალაქში (მოსკოვში!) სწავლის გაგრძელებისა და შემდეგ - საქმიანობისათვის; ასევე, გოგონები არჩევდნენ, მომავალში შეიღებოდა რუსულ სკოლაში შეეყვანათ, რომ არ გასჭირვებოდათ მათთვის დახმარების გაწევა გაკვეთილების მომზადებაში...<sup>2</sup>

შდრ.: “ბავშვმა თავდაპირველად თავის დედა-ენაზედ უნდა გაიხსნას გონება“ (ილია), ნამდვილი ქართველი მხოლოდ ნამდვილ ქართულ სკოლას შეუძლია აღზარდოს“ (მღვდელი სიმონ მჭედლიძე)...

საბჭოთა პერიოდში ტერმინმა “უცხო ენამ“ დაკარგა თავისი ნამდვილი მნიშვნელობა და ახალი პოლიტიკური ფონის მიხედვით შექმნილი სიტყვათშეხამების - საბჭოთა ხალხის “დიადი ენის“ - რუსულის - ანტონიმად იქცა.

მიმართება: მშობლიური - უცხო შეიცვალა წყვილით: საბჭოთა - უცხო; უცხოს საპირისპიროდ, ერთ სემანტიკურ ველში მოექცა ტერმინები: მშობლიური

<sup>2</sup> 1989 წელს ამ თემას საგანგებო სატელევიზიო გადაცემა მიუძღვნა დოკ. თ. კვაჭანტირაძემ, რომელმაც იმსჯელა, თუ რა დამაფიქრებელი იყო აღნიშნული რეგიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი

და საბჭოთა, მეორე (საბჭოთა) ლოგიკურად დაუახლოვდა პირველს (მშობლიურს). ამასთანავე, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე გავრცელებულ ენებს შორის რუსულმა შეიძინა გამორჩეული, საურთიერთო (უფროსი ძმის) ენის ფუნქცია, აშკარად გამოიკვეთება იმპერიული ენობრივი პოლიტიკის ერთი გზა:

ქართველი საზოგადოების ეროვნული ცნობიერების შერყევის მიზნით, სიტყვაფორმათა ისტორიულად ჩამოძვრწილი სემანტიკის ხელოვნურად შეცვლა, მაგ.:

სემანტიკის დავიწროება: უცხო - არაქართული > უცხო - არასაბჭოთა;

სემანტიკის გაფართოება: მშობლიური - ქართული > მშობლიური - საბჭოთა/რუსული...

შდრ., აგრეთვე:

საქართველოს მოქალაქეების დედაქალაქი - თბილისი

საქართველოს მოქალაქეების დედაქალაქი - მოსკოვი...

#### დამოწმებული ლიტერატურა

კ. გამსახურდია 1983 - კ. გამსახურდია, თხზულებათა ანთომეული, ტ. VII, თბ., 1983.

ჟურნ. “განათლება”, 1914, №5.

ი. ვაშაკიძე, 2009 - ი. ვაშაკიძე, ტერმინთშემოქმედების პრინციპები XX საუკუნის II ნახევრის საქართველოში, თბ. 2009.

გაზ. “ივერია” 1903, №4, 13.

ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, თბ., 2003.

ვ. კაკაბაძე, 1914 - ვ. კაკაბაძე, წყალი და მისი გაწმენდის საშუალებანი, ჟურნ. “განათლება”, 1914, №6.

გაზ. “კვალი”, 1893, №49.

ს.ს. ორბელიანი, 1966 - ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი, IV, თბ., 1966.

ვ. პეტრიაშვილი 1895 - ვ. პეტრიაშვილი, სიტბო და მისი სარგებლიანად მოხმარება მრეწველობასა და ოჯახში, “მეურნე”, 1895, №7-10.

ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1990.

ქეგლ, 1960 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., 1960.

ნ. ჩუბინაშვილი, 1961- ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1960.

დ. ჩუბინაშვილი, 1984 - დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

ლ. ცაგარელი, 1914 - ლ. ცაგარელი, ანატომიურ, ფსიხოლოგიურ ტერმინებისა და სხვადასხვა დარგის სიტყვების შესახებ, ჟურნ. “განათლება”, 1914, №6.

**IA VASHAKIDZE**

**ON THE SEMANTIC CHANGE OF “UTSKHO”  
(FOREIGN) RELATED TO LANGUAGE IN THE  
RUSSIAN IMPERIAL SPACE**

The paper discusses the question of the artificial change of the word semantics by the influence of the Soviet language policy.

During the Soviet period the term: *foreign language* lost its original meaning and in the conformity of the Imperial background it became the antonym of the Soviet language/languages. The opposition: Native – foreign was replaced with the pair: Soviet –foreign. Consequently, as opposed to the term “foreign” the terms “Soviet” and “native” appeared in the single semantic field; on the other hand “soviet” had logically come near the “native” that brought the narrowing of semantics of the word “utskho”(foreign): “utskho” – non-Georgian >“utskho” – non-Soviet.